



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

050111087502413

KA050111087502413

№ 56/ო

თბილისი

20 / მაისი / 2013 წ.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 23 მარტის N22/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 23 მარტის N22/ო ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატებები:

ა) ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მითითება, რომელიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაძლებელია გაიცეს ხელმძღვანელის (მინისტრის, მინისტრის მოადგილის ან უშუალო უფროსის) მიერ ზეპირსიტყვიერად, სამუშაო მასალებზე დადებული რეზოლუციით ან ელექტრონული ფოსტით, სამსახურის ადგილთან და სამსახურებრივ მოვალეობებთან დაკავშირებით.“

ბ) ბრძანების მე-4 მუხლს დაემატოს 4¹ და 4² პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„4¹. ელექტრონული ფოსტის ადრესატი ვალდებულია შეასრულოს მიღებული დავალება მისი გაცნობის მომენტიდან, დავალების შინაარსის შესაბამისად.“

„4². სამინისტროს თანამშრომელთა სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.“

გ) ბრძანებას დაემატოს მე-8¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8¹. სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ვიზიტორთა (სტუმართა) შემოსვლის წესი:

1. სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ვიზიტორთა (სტუმართა) შემოსვლისათვის საშვის დაშვების უფლება აქვთ მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს, მინისტრის მოადგილეებსა და მათ თანაშემწეებს, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, სამმართველოს უფროსებსა და მრჩეველებს.

2. სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ვიზიტორებზე საშვის დაშვების შემდეგ, საშვს გასცემენ ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს მიერ საშვის გაცემაზე გამოყოფილი შესაბამისი თანამშრომლები.“

2. ბრძანება გაეცნოს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებს.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა.

მინისტრი



დავით ნარმანია